



თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 112

„15“ დეკემბერი 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელისათვის
ხელშეკრულებების შეწყვეტაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად,

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა რათა შეწყვიტოს შემდეგი ხელშეკრულებები:

ა) თელავის მუნიციპალიტეტს და შ.პ.ს. „ხელოვნების სტუდიას“ (საიდენ.კოდი №431171563) შორის 2014 წლის 23 ივნისს დადებული №6/ი-2014 იჯარის ხელშეკრულება (თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდალში მდებარე შენობა - ნაგებობაში არსებული 77,8 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, ს/კოდი №53.03.39.042 (ყოფილი ამბულატორია);

ბ) თელავის მუნიციპალიტეტს და ა.ა.ი.პ. „სათემო ცენტრი გულგულას“ შორის (საიდენ.კოდი №431165712) 2011 წლის 10 მაისს დადებული №10/ი-2011 იჯარის ხელშეკრულება (თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული 28,4 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, ს/კოდი №53.09.37.005).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



კაკა გიორგობიანი